ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75.75213378**
თარიღი:**03/12/2021**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' დაფუძნების, რეგისტრაციაში გატარების, ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ემუხლის მე-1 პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 ნოემბერის №22 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო,

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნებისა და რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ იზოლდა ნემსაძის არჩევის შესახებ.

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილედ მანუჩარი გოტიაშვილის არჩევის შესახებ.

მუხლი 4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი